№ 192 სექტემბერი 12, სამშაბათი 1889 სექტემბერი 12, სამშაბათი № 192

ივერია

1877—1889 სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი 1877—1889

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკჰალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—1)

სასწავლებელი და პანსიონი

ოლგა თეოდოსის ასულის ნასაძისა

ამზადებს ქალებსა და ვაჟებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

კუკია, ანდრიის ქუჩა, № 21.

(5—5)

ტფილისი, 11 სექტემბერი

მთელს განათლებულს კაცობრიობას შეგნებული და შეთვისებული აქვს ის აზრი, რომ სწავლა-განათლება ქვაკუთხედია ერთა წარმატებისა, კეთილდღეობისა, და ამიტომ თითოეული დაწინაურებული ერი არავითარს ხარჯსა და შრომას არ ერიდება, ოღონდ რაც შეიძლება მეტი სწავლა-ცოდნა დამკვიდროს. ამ მხრით სხვებზე უფრო შესანიშნავნი არიან შვეცია და ნორვეგია, რომელნიც ევროპის აპოლიტიკო საქმეებში თითქმის არავითარს მონაწილეობას არ ღებენ და მუდამ იმის ცდაში არიან, რომ თავიანთ მკვიდრთა რაც შეიძლება მეტი სწავლა-ცოდნა, კეთილდღეობა და მშვიდობიანობა სძინონ. ამიტომაც არის, რომ დღეს სწავლა-განათლების საქმე ამ ქვეყნებში ისე რიგად არის მოწყობილი და ერიც იმდენად დაწინაურებულია, რომ ეს ორი ბუნებით ღარიბი და სუსხიანი ქვეყანა მთელს ევროპას აკვირვებს და აოცებს. ასე გასინჯეთ, რომ ეს ორი ქვეყანა საყოველთაო სწავლა-განათლებითა და კეთილდღეობით ბევრად სჯობნის მთელის კაცობრიობის მეთაურთა და გამგებელთ: გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს და სხვათა, რომელნიც მკვიდრთა რაოდენობით, ბუნების სიუხვითა და სიმდიდრით, პოლიტიკურის მნიშვნელობითა და სამხედრო ძალ-ღონით იმდენად მაღლა სდგანან, რომ იმათთან შვეცია და ნორვეგია სახსენებელნიც არ არიან.

იქნება იკითხოთ, რა არის იმის მიზეზი, რომ ამ ორს პატარა და ბუნებით ღარიბს ქვეყანას, რომლის მკვიდრთა რაოდენობა არ აღემატება ექვსსა და შვიდს მილიონს, იმოდენა სწავლა-ცოდნა და კეთილდღეობა დაუმკვიდრებია, რომ მთელის კაცობრიობის მოწადმართეთა აკვირვებს. დიახ, ეს მეტად საგულისხმო არის და ორიოდე სიტყვით ჩვენც პასუხს მოგახსენებთ. შვეცია-ნორვეგიას დიდი ხანია შეთვისებული აქვს ის აზრი, რომ ერთა და სახელმწიფოთა კეთილდღეობა მაშინ არის მკვიდრი და შესაძლო, როცა სწავლა განათლება შეძლებისამებრ თანაბრად არის გავრცელებული ერში და როცა თითოეული ადამიანი შეიარაღებულია თუნდაც მარტო წერა-კითხვის ცოდნით, და არა მაშინ, როცა ერის უმცირესი ნაწილი თავით ფეხამდე აღჭურვილია უმაღლესის სწავლა-ცოდნით და დანარჩენი ერი-კი უსწავლელი და გაუნათლებელია. ამის მიხედვით შვეცია-ნორვეგიამ სწავლა-განათლების საქმეს საძირკვლად დაუდო ის აზრი, რომ სახელმწიფოში თითოეულმა მკვიდრმა, ქალი იქნება, თუ ვაჟი, უსათუოდ წერა-კითხვა და პირველ-დაწყებითი ანგარიში მაინც უნდა იცოდეს, რათა ყველას, წოდებისა და სქესის განურჩევლად, ხელთ ჰქონდეს თავი-და-თავი სახსარი სწავლა-განათლებისა. ეს აზრი და წადილი შვეცია-ნორვეგიამ კიდეც შეისრულა და აი რა საშუალებით: მთელი ქვეყანა მოჰფინა ეგრედ-წოდებულ მოძრავ სკოლებით, სადაც მოზარდი თაობა სწავლობს მარტო წერა-კითხვასა და პირველ-დაწყებითს ანგარიშს. ამ გვარის სკოლის მასწავლებელი დადის სოფლიდგან სოფელს და ასწავლის მოზარდს თაობას მხოლოდ წერა-კითხვას და ანგარიშს. ამიტომაც ერს, რომელიც შორი-შორს და პატარ-პატარა სოფლებად სცხოვრობს, სრული საშუალება აქვს თავისი ბავშვები სკოლაში აღზარდოს. აი, ეს მოძრავი სკოლები დაუდვია შვეცია-ნორვეგიას საერო განათლების საძირკვლად და თითოეულის მკვიდრისათვის დაუმკვიდრებია თავი და თავი სახსარი სწავლა-განათლებისა. როცა მოზარდი თაობა ასრულებს წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლას, მაშინ იგი გადადის საერო სკოლაში, რომელსაც ვრცელი პროგრამა აქვს. ამ ჟამად ამ გვარი სკოლა იმდენია შვეცია-ნორვეგიაში, რომ მთელს მოზარდს თაობას ჰყოფნის, ასე რომ თითოეულს მკვიდრს შეუძლიან თავისი ყმაწვილი მიაბაროს სკოლაში, რადგანაც ვაკანსიების უქონლობა ყოვლად შეუძლებელი და უცნობია. ამ სახით მუდამ წელს მთელი თაობა, სქესის განურჩევლად, სწავლობს წერა-კითხვას, პირველ-დაწყებითს ანგარიშს და შემდეგ სხვა-და-სხვა საგანს ვრცელის პროგრამით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ შვეცია-ნორვეგიაში პირველ-დაწყებითი საპროფესიო სწავლა-ცოდნა მეტად არის გავრცელებული და ამ მხრითაც მთელს ევროპას სჯობნის.

იქნება მკითხველმა იკითხოს, რა სამსახური გაუწია ამ გვარმა პირველ-დაწყებითმა განათლებამ შვეცია-ნერვეგიას, რომელიც ევროპის პოლიტიკაში არა სჩანს და არავის არ აფრთხობს თავისის მხედრობით, თოფ-იარაღითა და ჯარებითაო.

ფელეტონი

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

მესამე მოქმედება *)

სცენის მოწყობილობა პირველის მოქმედებისა.

I

ანთისა მარჯვნივა ჭზის და ჩოთქით რაღასაც ანგარიშობს. ოლგა შემოდის.

ანთისა. სად იყავი, ოლიკო?

ოლგა. ბაღში. (ჯდება)

ანთისა. ვარდი გაშლილა?

ოლგა. ზოგიერთგან (სიჩუმე. ოლგა ჩაფიქრებული ჭზის. ანთისას გააქვს და გამოაქვს ჩოთქის თვლები) ანიკო სად არის?

ანთისა. არ გამოსულა. (კვლავ სიჩუმე ჩამოვარდება. ანთისა ბრახუნით მიაგდებს გვერდზედ ჩოთქს) რა საძაგელი დღეა. გაათარუნებდეს მაინც ვინმე. ისე მიიკუნჭ-მოიკუნჭნენ, თითქოს მკვდრის დასაფლავებაზედ ყოფილიყვნენ და დაღონებულნი დაბრუნებულიყვნენო.

ოლგა. (თავის თავად, ნელის ხმით) აკი ეგრეც არის.

ანთისა. შენ რაღა დაგემართა, ნეტა? დაუჯერე ჩემს სიტყვას: არა იქნება-რა, არა და არა. ეგ ქალბატონს სატახტო ქალაქებში ცეკვებით ჯიბე გამოჰფხეკია და ფულს სათხოვნელად ჩამობრძანდა. ეს არის, სხვა-კი არაფერი. ძალიანაც არ ეკადრება, სწორედ გითხრა, იმას ეგ შენ ძვირფასი სერგეი! იქ იმას ადიუტანტები და კირასირები ბუზებივით დაჰზუზუნებენ და დაჰბზუიან თავზედ. აძრობს ერთ ორმოც-და-ათს ათასს ქმარსა გაუტევს კუდის ქნევითა და რხევით. ჯერ პირველში, რასაკვირველია, შინება მოუნდომა, ის კუდიანი და აშარი დედაკაცი გამოუგზავნა... სინჯე კარგად? აბა ყველაფრის აჩხი გველი ის დედაკაცია, აი... შენ ჩემი არა გესმით-რა და ადამიანს კი ერთის იერით შევატყობ. გვერდზე რომ გამიაროს, არც-კი დავაცქერდები, მაგრამ ისე კარგად-კი გავუგებ რა წმინდა სულიც არის, თითქოს ხელი გულზედ მიჯდესო. ჰო-და კიდეც ამიტომ გეუბნები, რომ არა იქნება-რა-მეთქი. ქარია, წავა და გაივლის.

ოლგა. რად მეუბნები მაგას, დედაჩემო, რად მანუგეშებ. კარგად ვიცი, რაც მოგველის. ამდენი ბედნიერება უბრალოდ არ ჩამივლიდა, და მე-კი დიდხანს, მეტად კარგა ხანს ვიყავი ბედნიერი.

ანთისა. დიდი, ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ მეტი აღარ შეიძლება. მთელი სიცოცხლე გამოკეტილში ჰზიხარ, ხალხში არ გადიხარ, ქვეყანაში თავს არა ჰყოფ და შენის ჩაცმა-დახურვით არავის უხვევ თვალებს. დიდი ბედნიერებაა, ძალიან!

ოლგა. ამაზედ მეტი ბედნიერება რაღაა, დედაჩემო? მე საჭირო და ძვირფასი ვიყავი იმისთვის, ვინც ჩემს თავზედაც-კი მეტად მიყვარდა, და ამ დედაკაცის უპირველესისა და საუკეთესო ბედნიერებით დატკბობის უფლება-კი არა მქონდა: ცოლი არ ვიყავი. ჩემს გვერდით იზრდებოდა იმისი ქალი, ბევრჯელ მინახავს იმის ცრემლიცა და სიცილ კასკასიც, ვასწავლიდი კითხვას, ვხედავდი როგორ წამოუჭარხლდებოდა ხოლმე ლოყები, ჩემის ამბების მოსმენით აღელვებულს, ჩემს მუხლებზედ ჩაეძინებოდა, და ამისი უფლება-კი არა მქონდა: დედა არ ვიყავი. მაშასადამე, რაც ეხლა მოხდა, დიდი ხანია მოსახდენელი იყო.

ანთისა. (ცრემლებს იმაგრებს) მერე რატომ იმას-კი არ იტყვი...

ოლგა. ეს არის ეხლა ბაღში დავსეირნობდი და ყველაფერი ცხოვლად მითვალისწინა მეხსიერებამ... მაშინაც გაზაფხული იყო... ვარდი ჰყვაოდა... გული ისე მიცემდა დამიჩქროლავდა, თითქოს ბუდიდგან გამოფრენას ლამობსო... სერგეი ხელი დამიჭირა, თვალებში ცრემლმა გაუელვა... და წყნარად, წყნარად ჩაიჩოქა ჩემ წინ... მე თავზედ ხელი გადუსვი, ორივენი ჩუმად ვიყავით და უწინდელი დარდი გულიდგან ცრემლთან ერთად ჩამოერეცხა (მწუხარე და გულ-მკვნესავის ხმით) ეხლა-კი, აგერ, ანგარიშის გასწორების დღეც დადგა. (ანნა შემოდის)

II

იგინივე და ანნა

ანნა. (არავის უყურებს) მამაჩემი არ დაბრუნებულა!

ოლგა. არა ჯერა.

ანნა. (ისევე) საქმე მაქვს და როცა მოვიდეს... თუ ღმერთი გწამთ, შემატყობინეთ...

ანთისა. ჩვენთან იყავ, ანიკო, აქ დარჩი.

ანნა. გმადლობთ, მარტოს მირჩევნია. (გადის)

III

ანთისა და ოლგა

ოლგა. (დედას შესცქერის) რაო, მართალს არ ვამბობდი?

ანთისა. (დაიბნევა) ნუ თუ აგრეა... რასაკვირველია... (სწრაფად წამოდგება) მაგრამ არა მჯერა, რომ მომკლა, მაინც არა მჯერა. საიდგან იქნება, აბა საიდგან მოხერხდება ეგა? არ ვიცი, შენ რა აზრისა ხარ, და მე-კი თავს მოვიკლი, თუ ერთის კვირის შემდეგ ან-კი ახსოვდეს ვისმე ეს უსიამოვნება და აურზაური.

ოლგა (აღელვებით) არა, აგრე ადვილად არ გათავდება ეს საქმე .. ამ ამბავს ჭირივით ველოდდი: დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, უეჭველად უნდა მომხდარიყო... აქ უბრალო სიტყვები და ფიქრით თავის ხეთქვა არაფერს უშველის ადამიანს. (კილოს შეიცვლის ლაპარაკისას, უწინდელებრ მშვიდადა და ნელის ხმით ამბობს, მაგრამ თავს-კი საშინელს ძალას ატანს) დედაჩემო, აქ საშინლად ცხელა, სული ვერ მომითქვამს.. წავალ, ბაღში ვიქნები. არა, ეხლავე დავბრუნდები, ეხლავე... დამიცადეთ. (გადის)

ანთისა. (ოლგას თვალს გააყოლებს და ხმა-მაღლა იტყვის) გული ისე მიბრაზდება და მირისხდება, რომ ნეტა მაცემინა მაინც ვინმე. (ხვოროსტნევი შემოდის) აა! თქვენო აღმატებულებავ, საიდგან მოეხირებით?

IV

ანთისა და ხვოროსტნევი

ხვოროსტ. (ხმა-ამოუღებლად დაჯდება სავარძელზედ და თვალებს მილულავს. დიდი სიჩუმე. შემდეგ მიიხედ-მოიხედავს და თვალებ-მილულულივე ამბობს ნელის ხმით) ერთი ჭიქა წყალი დამალევინე... (ანთისა ჭიქას მიაწვდის. ხვოროსტნევი წამლის პაწია შუშას ამოიღებს, რამდენსამე წვეთს ჩააწვეთებს ჭიქაში და დალევს. შემდეგ მეორე შუშას ამოიღებს და საფეთქლებს დაისრესავს. ამასაც რომ მორჩება, ოდნავ ამოიოხრებს) უჰ, როგორ მომშალა და მომღუნა ძარღვებში იმ შეჩვენებულმა დედაკაცმა! (თავს ჩაჰკიდებს)

ანთისა. (მოთმინებიდგან გამოვა) იმისას იყავი?

ხვოროსტ. (თავს უქნევს) ჰო, იმისას ვიყავ.

ანთისა. მერე, რაო? (ხვოროსტ-

---

*) იხ. „ივერია" №№ 175, 176, 181, 184, 187 და 189.

დიაღ, საყურადღებოც ის არის, რომ შვეცია-ნორვეგია პოლიტიკურად სრულიად განმარტოებულია; ხმალთა ტრიალსა და აბჯარ-ჯავშანთა ქღერას არ მისდევს და თავი არ მოსწონს თოფ-იარაღით და ჯარებით. სამაგიეროდ არც ერთს ერს არა აქვს დამკვიდრებული იმდენი კეთილდღეობა, მშვიდობიანობა და წესიერება, რამდენიც შვეცია-ნორვეგიას დაუმკვიდრებია. მაშინ-როდესაც სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში შიმშილ-წყურვილი და სხვა-და-სხვა სენი მუსრს ავლებს ერს, შვეცია-ნორვეგიაში ათასში მხოლოდ თექვსმეტი კაცი კვდება. სხვა ქვეყნებთან შედარებით შვეცია-ნორვეგიაში დანაშაულობაც ნაკლებია, რადგანაც სწავლა-ცოდნით აღჭურვილი ერი შრომის მოყვარე, ბეჯითი და მუყაითია. აგრეთვე შენიშნულია, რომ წლიდგან წლამდე, რამდენადაც ფეხს იდგამს სწავლა-განათლება და ნივთიერი მდგომარეობა, სიკვდილისა და დანაშაულობის რაოდენობაც შესამჩნევად კლებულობს. დასასრულ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ შვეცია-ნორვეგიაში ლოთობა დანაშაულობად არის მიჩნეული და მთვრალს კაცს ხალხში თავი არ გამოეყოფა, მაშინ, როდესაც სხვაგან ლოთობითა და სხვა სამარცხვინო საქციელით თავი მოსწონთ კიდეც.

ე. ი.

ახალი ამბავი

⁂ უკვე დამთავრებულია და ათის დღის განმავლობაში გამოვა გასასყიდად ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“. წიგნი სამას გვერდზედ მეტია და შეადგენს პირველს ნაწილს საქართველოს ისტორიისას უძველესის დროიდგან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე. ამ წიგნს ექნება ვრცელი წინასიტყვაობა და ალფავიტური საძიებელი ყველა წყაროსი, რომელზედაც ეს ნაწილი ისტორიისა არის დაფუძნებული. ამ საძიებელიდგან შეიტყობს თურმე მკითხველი რომელ წყაროს რა ღირსება აქვს ჩვენის ისტორიისათვის. წიგნი ერთი მანეთი ეღირება.

⁂ ფორკატიც შეუდგა საქმეს. როგორც შევიტყეთ, ამ სექტემბრის თხუთმეტს იწყებს ფორკატი თავისის დასით სეზონს არწრუნისეულს თეატრში და წარმოადგენს კომიკურს ოპერებს, ფეერიებსა და ოპერეტებს. ფორკატის მომავალის სეზონისათვის მოუწვევია სხვათა შორის: პრიმადონები ქ-ნები ტროიცკაია, როტმიროვისა და მილიუტინისა, კომიკურს როლებზედ ქ-ნები გორსკაია და სმირნოვისა, ტრავესტისაზედ — სლობოდინისა, მანინისა და ნექენცოვი; ტენორებად — ბ-ნნი ლოდი და ლუკიანი, ბარიტონად — ბ-ნი ლევიცკი, ბასებად — ბ-ნი სკურატოვსკი და მალჩანოვი, კომიკებად — ბიაზი, სმირნოვი და მეიერსონი, «პროსტაკად» — ფატეევი. ამას გარდა მეორე ხარისხოვან როლების შესასრულებლად ამოურჩევია შვიდი ქალი და ექვსი კაცი. ხორო ოც-და-ათის კაცისაგან არის შემდგარი. რეჟისორად ბ-ნი ნ. ა. ბიაზია დანიშნული.

⁂ სექტემბრის ათს, საღამოზედ, მონადირეთა საზოგადოებამ გაუმართა გამოთხოვების ვახშამი თავისს თავმჯდომარეს, ბარონ ანტ. იაგორის ძეს ზალცას. ბარონი ზალცა თავს ანებებს ამ საზოგადოების თავმჯდომარეობას, რადგან სამსახური სხვაგან იწვევს და არ შეუძლიან. იმის მაგიერ ეხლა საზოგადოების თავმჯდომარედ ამორჩეულია ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ჩაიკოვსკი. ვახშამი თეატრის ბალის სასტუმროში იყო გამართული და ოც-და-ათამდე კაცი დაესწრო. ნათავმჯდომარალს რამდენიმე სიტყვა უთხრეს. ბარონ ზალცას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოების წინაშე და თითქმის იმან წამოაყენა ფეხზედ და აბოგინა დღევანდლამდე. საზოგადოებას ამ ჟამად ორმოც-და-ათამდე წევრი ჰყავს.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი ნ. თათარაშვილს განუზრახავს ქ. სიღნაღში ქართულის წიგნის მაღაზიის გახსნა და უკვე მიუცია თხოვნა, სადაც ჯერ არს, ნება-რთვის მისაღებად... თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, არა მარტო სოფლებში, არამედ თვით ქ. სიღნაღშიაც ძალიან ძვირი საშოვარია ქართული საკითხავი წიგნები და მით უფრო სახელმძღვანელოები, ზემოხსენებულ მაღაზიის გახსნა ქ. სიღნაღში მართლა რომ სასურველიც იქნება და ღირსეულს შემწეობასაც გაუწევს საზოგადოებას.

⁂ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირა ზემოჭალის მღვდელმა მათე სუხიევმა შემდეგი წიგნები: 1) ხრონოგრაფი არჩილ მეფისა, მხედრული ხელთ-ნაწერი; 2) ჟამნი, ლოცვანი და სადღესასწაულო, ერთ წიგნად, ხუცური ხელთ-ნაწერი და 3) ტიბიკონი, დაბეჭდილი მეფე ვახტანგის დროს 1710 წელს. გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

⁂ რუსეთის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას შემოუთვლია ტფილისის ამ გვარსავე საზოგადოებისათვის, რომ გიგზავნით 6 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალს და 20 საპატიო დიპლომს იმათთვის, ვინც უფრო ერთგული აღმოჩნდება თქვენ საზოგადოების წევრთა შორის და ან ვინც უფრო თავს ისახელებს კავკასიის გამოფენაზე, როგორც მფარველი და მომვლელი პირუტყვისაო.

⁂ სამეგრელოდამ მოუსავლობის ამბავი მოდის. სოფელი ნატოჩაო, სენაკის მაზრაში, განთქმული უხვის მოსავლით, წელს ნახევარსაც არ მოელის. სიმინდს ფასიც ნაკლები აქვს. შარშან ფუთი 60—70 კაპ. იყიდებოდა, წელს 40 კაპ. იძახიან. ღვინის მოსავალს-კი კარგს ელიან წელს. „იზაბელას“ ისე ასხია, რომ იქნება ზოგმა ჭურჭელიც ვერ იშოვოს. სამეგრელოში უჩივიან ყველგან ქურდობასა და ავ-კაცობას. უჩივიან აგრეთვე სხვა-და-სხვა ავადმყოფობას, როგორც, მაგალითად, ციებ ცხელებასა და სხ. ჩვენი სოფელი ნატოჩაო-კი, ღვთის მადლით, არც ავადმყოფობით და არც ავ-კაცობით არ არის შეწუხებული.

⁂ გურიიდგან კიდევ გვწერენ ავაზაკების დაჭერის თაობაზე: 7 ენკენისთვეს, დილით, ესე 6 საათზე, შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომ გავარდნილი ავაზაკნი: ძმნი დარჩიები და დათუნაიშვილი ამ და ამ სახლში არიანო. მაზრის უფროსმა შეჰყარა ყაზახები, ყარაულის კაცნი, თათრები და შუადღისას შემოარტყა იმ სახლს, სადაც ავაზაკნი საუზმეს შეექცეოდნენ. ავაზაკებს თავს ზარი დაეცათ. გამოცვივდნენ გარეთ, ასტეხეს თოფის სროლა, სამი კაცი მოგვიკლეს და გაიქცნენ. სახლში დასტოვეს ერთი თავისი ამხანაგი, ვასილ დარჩია, რომელიც მძიმედ დაჭრილიყო. ჩვენებმა მოჰკლეს ეს ავაზაკი და დანარჩენებს გამოეკიდნენ უკან. როცა ავაზაკებმა ჩასასვრებელი ალაგი მონახეს, ჩასხდნენ იქ და დაიწყეს კვლავ თოფის სროლა, ერთი კაცი კვლავ მოგვიკლეს მაგრამ ჩვენებმაც დასჭრეს დათუნაიშვილი და მერე შეიპყრეს კიდეც. დაჭრილი დაუდეს ურემზედ და ოზურგეთში ჩამოიტანეს. გზაზედ გადაელობა კიდევ ჩვენებს გადარჩენილი დარჩია და დაუწყო თოფის სროლა. ჩვენები გამოეკიდნენ, მაგრამ ავაზაკმა თავს უშველა და სადღაც გაჰქრა. ყველას ებრალება მდევართა შორის მოკლული მიხეილ ნინიძე, რომელიც კარგი და ფრიად წამოსადეგი ვაჟკაცი იყო.

⁂ იმერეთი: სოფელს სიმონეთში სიმინდის მოსავალს კარგს მოველით, ხოლო ვაზისას-კი ძალიან ნაკლებს. პატარა ხანს იდგა საქონლის ჭირი და რამდენიმე სული საქონელი იმსხვერპლა. დღეს ჭირი სრულიად განელდა და გაჰქრა. სიმონეთის სკოლა მალე ახალს შენობაში გადავა. ახალი შენობა სიმონეთის სამამასახლისოს 4,400 მან. დაუჯდა. შიგ კანცელარიისათვისაც არის სამიოდე ოთახი. ჩვენი საზოგადოება დიდი საზოგადოებაა. 200 კომლამდე აზნაურია და გლეხობა 987 კომლამდე იქნება. სკოლის მზრუნველია შანშე კლდიაშვილი, რომელიც აგონებს ხალხს სკოლისა და საზოგადოდ შვილების აღზრდის საჭიროებას. გლეხკაცობა არ არის ძრიელ გაჭირებული. 16 ვერსზე ქუთაისია აქედამ და იქამდე სულ მშვენიერი ძველი გზატკეცილია გაყვანილი. რკინის გზის სადგური „სვირი“ სულ სამი-ოთხის ვერსის მანძილზეა აქედამ. ხალხი ქუთაისშიაც და რკინის გზაზედაც ჰშოულობს სამუშაოს. ბამბაც საკმაოდ მოჰყავთ აქ და წლიწადი ისე არ გაივლის, რომ რამდენისამე ათასის მანათის ბამბა არ გაიყიდოს აქედამ.

⁂ სურამი: სურამი და ხაშური ავაზაკების ბუდედ გარდაიქცა და ისე დღე არ გადის, რომ რამე ავაზაკობა არ მოხდეს. არ გაუვლია ერთს კვირას, რომ სურამში თავის კარებ წინ მოჰკლეს ციცა ჯინჭიხაშვილი. უმად-

---

ნევი მძიმედ ამოიოხრებს) ჰა, ამოისუნთქე და მორჩი! ხან მთელი საათი საფეთქლებს ისრესავ და ხან ისე შეგეკვრება და შეგეჭედება ეგ კრიჭა, რომ ადამიანი სიტყვას ველარ გათქმევინებს.

ხვოროსტ. როგორ უეცრად დატრიალდა უკუღმა საქმე და ფეხ ქვეშ ნიადაგი გამომეცალა! წარმოიდგინე, დიდის სიფრთხილით ვპარები რასმე, ფეხის თითებზედ სდგები, რომ არავინ არა გაიგოს-რაო, და აი, როცა ბნელს კუთხეში ხარ მიკუნჭული და სულ-გატრუნული, ამ დროს თვალებში ანთებული მაშხალა-კი შემოგანათეს. გარშემო ხალხი დგას თავმოყრილი და შემოგცქერიან, გსინჯავენ, გათვალიერებენ. განზრახვა გამოგიმჟღავნდა, დაფარული აზრი შეგიტყეს. აი სწორედ ასეთს მდგომარეობაში ვიყავი.

ანფისა. რაო, გამოგასულელეს?

ხვოროსტ. (ხელებს გაშლის უიმედოთ) გამომასულელეს, მართალს ამბობ.

ანფისა. (ზიზღით შესცქერის) ოჯახის სიქადულსა და იმედს დამიხედეთ, მთელის გვარის დიპლომატს! (აჯავრებს) „მე ერთი აზრი მაქვს! ყველაფერს მოვახერხებ, ნუ-რა გეფიქრებათ-რა!“ ღმერთს რომ შნო და უნარი გაუწყვეტია შენთვის, არც უნდა ერეოდე ამისთანა საქმეში.

ხვოროსტ. თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე და გამშორდი. მე ეხლა ისე ვარ აღელვებული, რომ არ ვიცი, თუ რას ვიზამ, ღმერთმანი.

ანფისა. შენვე არ იცი, რას იზამ? ნაცარქექია ხარ, ნაცარქექია!..

ხვოროსტ. (მუშტებ-მოღერებული წამოიწევს სავარძლიდგან) მომშორდი-მეთქი. (ისევ დაუშვებს) ღმერთი იყოს შენი გამსჯე და გამკითხავი!

ანფისა. არა, რად ჩაერია ამ საქმეში, ჰა? ამას ვინა სჩივის, ვინ იცის რა არ წამოროშე და უფრო არ წაახდინე საქმე, გაკეთების მაგიერ.

ხვოროსტ. მაგაზედ-კი პასუხსაც არ გაკადრებ. მადლობა ღმერთს, დამთხვეულად არავისა ვყევარ მიჩნეული, კარგად მიცნობენ, რა ჰკუის კაციცა ვარ. მაგრამ იმისთანა დედაკაცს-კი ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ. საოცარი რამ არის, ხამელეონია სწორედ, მაკიაველი! გამოტეხილი უნდა ვსთქვა, დამჯაბნეს, დამამარცხეს, სულ ერთიან მტვრად მაქციეს, თუმცა ეს დამარცხება სირცხვილად-კი არ მიმაჩნია, რადგან ჩემი მოწინააღმდეგე დიდი ოსტატი და გაქნილ - გაიძვერა აღმოჩნდა.

ანფისა. რაღა თქმა უნდა, რომ შენ-კი გაჯობებდა.

ხვოროს. ასე მეგონა, მარტოა, ამ ქალაქში არავის იცნობს-მეთქი... და რა გამოდგა? მთელი ამალა დასდევს უკან. ვერა ეალერსება და თავს ევლება, კურჩინისას სოფიოსთან მიჰყავს, გენერალს პოლიცმეისტერთან...

ანფისა. პოლიცმეისტერთან მიჰყავს?

ხვოროსტ. მიჰყავს-კი არა, თითონ მიდის. შევდგი თუ არა ფეხი, ყველანი შემომეხვივნენ. დაწყობილიც-კი აქეთ თურმე გეგმა, როგორც უნდა იმოქმედონ... ყოჩაღ, ყოჩაღ დედაკაცო, ღმერთმანი! რამდენი რამ მოუხერხებია ერთს დღეში... წარმოიდგინე, მეც-კი იხე დამეცნენ თავს, რომ ძლივს დავეღწიე... პირველში არც „ჰო“ ვსთქვი და არც „არა“. ბოლოს, საქმე საქმეზედ რომ მივიყვანე, თანახმა ვარ-მეთქი, ვუთხარი: დროებით სხვაგან წადით, რომ თავისუფლად ვიმოქმედო-მეთქი... ამ დროს უეცრად დაიწყო ამ ქალბატონმა და ყველას დაწვრილებით დაულაგა წინ, რომ ეგ ჩემი მტერია და აი, ამისა და ამისათვის არის მოსულიო. როგორ მოგწონს, ჰა? ამას შემდეგ ისეთი ორონტრიალი გაიმართა, რომ სათქმელადაც-კი ძნელია... აქეთ ვეცი, იქით ვეცი...

ანფისა. და ტლაპოში-კი ჩავეცითქო... აი, შე ბენტერავ, შენა, შე ბენტერავ!.. ეგ იყოს და ეგ, აღარ გაბედო და ამ საქმეში აღარ შეეკვიატო, გესმის?

ხვოროსტ. რა ვქნა, რითი გავაფუჭე მერე მე საქმე, რა წავახდინე; ეხლა ის მაინც ვიცით, რა გზას დგომია და მოქმედებას როგორ ატარებს. აქამდე არაფერი არ ვიცოდი, ეხლა-კი ვიცით ვინცა ჰყავს მოყ[illegible] და ქომაგი.

ანფისა. ვიცით, დიაღ, ვიცით ვინცა გვყავს ბენტერა. აქამდე-კი არაფერი არ ვიცოდით. არა, რა ახალი ამბავი მოიტანა-და! რას ვამბობ? დილას, ვისას ვამბობდი, ვის და გავექცეთ-მეთქი? გას არ გაეიძახოდი, რომ გავეცალნო მაგ კურჩინებისა და ბიკაევების ბუღ-ბუნაგსა-მეთქი? აბა, მითხარ ერთი რა ახალი ამბავი მოიტანე, რა? ბრალოდ სახელი გაიფუჭე და სხვა არაფერი. წავლენ ეხლა და მთელს ქვეყანაში მოსდებენ, როგორც გაგასულელეს და კუდამოძუებული გამოგისტუმრეს.

ხვოროსტ. (ფერი ეცვლება) ვითომ სთქვან რამე?

არინ გირჩევნია ისევ ბრაზილიაში წაბრძანდე, ჩემო ძვირფასო, და იქ ზანგებან იპოლიტიკოსო, აქ უბრალოდ ლოფნასა და წოწიალს. ჩვენ სათვალთმაქცო არა გვაქვს რა. დეე თუნდ კურჩინებისთანა ასი და ათასი ემხროს და ბადეები გააბან და გაჰაბან, არც მე და არც ოლგა ყასაც არ გავაპარტყუნებთ. ჩვენნი საღრისნი არ არიან, გესმის! და შენ, ეგ იყოს, მიდებ-მოდებას თავი დაანებე და შენს ქერქში იყავ. მაგით ჩვენ ტყუილად თავს ვიმცირებთ და ვირცხვენთ.

ხვოროსტ. მიმაწვინე სადმე, თუ ღმერთი გწამს, მოვისვენო. ეხლა მე შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. იქამდე მიხვედი, რომ ისიც-კი სთქვი, ვითომ მე გამცირებდეთ და გარცხვენდეთ.

ანფისა. წადი, სერგეის საწოლზედ წამოწექი. დაიძარ კარგი, ნულარ ზოზინებ... ფეხები ვერ აუთრევია და მაინც არ ისვენებს: „ერთი აზრი მაქვს“.., წამოდი, წა, ბენტერავ! (გადიან)

VI

ვოლინცევი და ოლგა

ვოლინც. რომ იცოდე რა გული გამიხდა, როცა დავინახე. ასე მეგონა, ყველაფერი გუშინ, გუშინ-წინ მოხდა-მეთქი. თავს ძლივს ვიმაგრებდი. რაკი ფიქრად გამივლიდა, რომ ის ცრუ, ის გველი ადამიანი შემომეხვეოდა გარს .. არა, მე-კი არა, შენ, ანიკოს... მაინც უარი ვერ ვუთხარი და ანიკოს ჩვენებას დავთანხმდი...

ოლგა. კარგად გიქნია. როგორ შეგიძლიან თავის ქალის ნახვა დაუშალო? ვინ გაჰბედავს და განსჯის სხვას? ჩვენ ხომ არ ვიცით, რა გამოუვლია ამდენის ხნის განმავლობაში. ზოგიერთი ისეთი ტანჯვაა, რომ ყოველ გვარს ცოდვას გამოისყიდის ადამიანისას. მოვა აქ?

ვოლინც. მოვა ნახევარს საათს შემდეგ. არ უნდა ეჩვენო. მეც იმათთან ვიქნები, როცა დედა და ქალი ჰნახავენ ერთმანეთს. ოლგა, მაპატიებ, შემინდობ მერე ამდენს უსიამოვნებას? რითი გადაგიხადე შენ მიერ მონიჭებული ბედნიერება!

ოლგა. მე უნდა შეგინდო, მე? დეე ჯერ ღმერთმა მე შემინდოს, რომ ამდენს ხანს ვცხოვრებდი ასე...

ვოლინც. რას ამბობ?

ოლგა. როცა გარს ამდენი უბედურება მეხვია, რა უფლება მქონდა უზრუნველად დავმტკბარიყავ ჩემის ბედნიერებით! მთელს სიცოცხლეს გავწირავდი, ოღონდ-კი იმისი თქმა

ლოს ღმერთმა ადგილობრივს გამომძიებელს, რომელმაც გულ-მხურვალედ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და კიდეც აღმოაჩინა დამნაშავეები. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მთელი ბრბო ყოფილა სურამში ავაზაკებისა. ხუთი კაცი უკვე შეიპყრეს და სამსაც ამ დღეებში დააპატიმრებენ. სულ რვანი ყოფილან. ესენი იკლებდნენ ასე ულმერთოდ სურამის მცხოვრებლებს, ზოგს დუქანს უტეხავდნენ და სარჩოდგან ცარიელსა სვამდნენ, ზოგს ჰკლავდნენ და ზოგს სცარცვავდნენ.

*** იქიდამვე: ამ სექტემბრის 8 ხაშურში მოსულა ყვირილიდგან ორი თათარი ახალციხის მაზრისა, სოფელ კლდიელები, მურად-ჩიჩიტ-ოღლი და არიფ-სალი-ოღლი. ხაშურში ვახშამი უჭამიათ, დაუქერიათ ბორჯომის ფაიტონი და, საათის 10—11 იქნებოდა ღამისა, გამგზავრებულან შინისკენ. როგორც გაუვლიათ ერთი ვერსი და რამდენიმე საჟენი, შემოხვევიან შეთოფ-იარაღებული ავაზაკები, ფაიტონი გაუჩერებიათ და ეს ორივე თათარი სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ისე ღონივრად უცემიათ ხანჯლები, რომ ტარამდე დაუყვანიათ. სალი-ოღლის შიგ გულში მოხვედრია ხანჯალი და იქვე მომკვდარა, ჩიჩიტ-ოღლის კიდევ სული ედგა, ხაშურში რომ მოიყვანეს, და მარტო იმის თქმა დასცალდა, რომ მამადიმ მომკლაო. მეფაიტონესთვის, რაც ჰქონია, ესე რვა მანეთი ფული წაურთმევიათ და ხაშურისკენ არ გამოუშვიათ, უთქვამთ, რომ პირდაპირ ბორჯომს წადი, თორემ შენც ამათთან მოგკლავთო. იმავე ღამეს ბორჯომს ასულა და იქაურის პოლიციის მოხელისათვის გამოუცხადებია. პოლიციის მოხელეს ოქმი შეუდგენია და მეორე დღეს ფაიტონი და მეფაიტონე სურამის გამომძიებლისთვის წარუდგენია. როგორც მეფაიტონე ამბობს: ბნელი ღამე იყო, სახე ვერავისი გავარჩიე და ძრიელაც შევშინდი, ისე რომ ქვიშხეთის მედუქნემ წყლით მომაბრუნაო. რიცხვით ავაზაკები იქნებოდნენ 8—9 კაციო. გამომძიებელმა მიიღო ყოველივე ღონისძიება, შეკრიბა ხაშურელი მედუქნე თათრები და იმათ შორის ერთი მამადა თათარი, რომელსაც ხაშურში სასმელ-საჭმელის დუქანი აქვს, ის დაიჭირა. ამბობენ, ვითომ ეს მამადა მოსულიყოს და ეკითხნოს ზემოხსენებულ ორის თათრისათვის, რა დროს წახვალთო, წიგნი მაქვს გასატანებელიო, და იმათაც ეთქვათ დრო წასვლისა. ამბობენ, ამან შეატყობინა ავაზაკებს იმათი ამბავიო. ჩიჩიტ-ოღლი და სალი-ოღლი ყოფილან ზესტაფონში ფურგუნებით სამუშაოდ, უმუშავნიათ კარგა ხანს, ფულიც უშოვნიათ, თავიანთი ფურგუნები წინდაწინ ბიჭებისთვის გაუტანებიათ და თითონ ფაიტონით წასულან. როცა ესენი წამოსულან, იმათ სოფლის თათრებს ფულები გამოუტანებიათ, ჩვენს სახლობას გადაეცითო. ამასაც ამბობენ, ვითომც ხაშურში დაეთვალოთ ფული და აქედგან დასდევნებოდნენ ავაზაკები: გამომძიებელმა უპოვნა მუცელზედ დაკრებული ჩიჩიტ-ოღლის 156 მან. გამომძიებელს იმედი აქვს როგორმე აღმოაჩინოს დამნაშავენი.

*** ქ. ზაქათალა: მარიამობისთვის ნახევრიდგან ჩვენსკენ ციებ-ცხელება ჰმეფობს. თვით ქალაქებშიაცა და სოფლებშიაც ბევრი ხალხი ავადმყოფობს. ზოგი ისეთი სახლობაა, რომ ორი სამი ავადმყოფი ერთად უწევს. ხალხი შიგა და შიგ ამ სნეულებისაგან იხოცება, მეტადრე ყმაწვილები. მაზრაში 75,000 კაცია და ამდენის ხალხისათვის დანიშნულია მხოლოდ ერთი ექიმი. აბა ერთი კაცი სად გასწვდება მთელს მაზრას. უფრო მომეტებულად ბელაქნისა და თალა-ქარის თათრობა ხდება ავად, ალბად იმიტომ, რომ ამ სოფლებში დიდ-ძალს ნესვსა სჭამენ და მერე ისიც ხშირად უზმოზედ.

*** 10 სექტემბერს, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში, ათის წლის ყმაწვილი ტფილისელ მოქალაქის შვილი ნიკოლოზ პაპაშვილი თავის გაუფრთხილებლობით ჩავარდა ორმოში, რომელიც სამის საჟენის სიღრმისა იყო, და თავი გაიტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 9 სექტემბერს მერვე განყოფილებაში სპარსეთის ქვეშევრდომს აჯი-ასკერ-ყასუმ-ოღლის ძალადობით მამათ-მავლობა ჩაუდენია სპარსელ ქვეშევრდომისავე სარქის შამაზოვის შესახებ. შამაზოვი 5 წლის ყმაწვილია. დამნაშავე პოლიციამ იპოვნა და გამომძიებელს გადასცა.

*** 8 სექტემბერს გაუქურდავთ საფრანგეთის ქვეშევრდომს სოფიო ლორე, რომელიც კონსულის ქუჩაზე სცხოვრობს, ალოევის სახლებში. მოპარულია 120 მან. ნივთი. გუმანი აულიათ პატარა რაჭველ ბიჭზე თოდაძეზე, რომელიც მოსამსახურედ ჰყოლია ზემოხსენებულს ქალს. გამოძიება სწარმოებს.

შეცდომის გასწორება: „ივერიის" მე-191 ფელეტონში ყველგან, საცა დაბეჭდილია „შილ", უნდა იყოს შალ (შვილო). აგრეთვე იმავე ფელეტონში მოყვანილ ლექსში სიტყვა თელო-ს მაგიერ უნდა იყოს „თოლო" (თვალო).

◆◆

უცხოეთი

ისპანია. ისპანიას პოლიტიკაში მალია ნაკლებად უდევს წილი. ათასში ერთხელ თუ გაერევა ხოლმე ეს ქვეყანა მარაქაში, ისიც მაშინ, როცა პოლიტიკა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დიპლომატია მცირე საგანს, რომელსამე მიყრუებულს, სადმე კუთხეში გადაღუპულსა და მიჩქმალულს საქმეს გამოსდებს კლანჭს და ამ კლანჭის გამოკვრის ნაღი ცოტაოდნად ისპანიასაც მოხვდება ხოლმე. თუ არა-და, ისპანია თავისთვის არის ოთხკუთხედად მიწა-წყალზე, შექცევა თავისებურად სხვა-და-სხვა გასართობით მამა-პაპათა ანდერძისამებრ და ამასთანავე, მეტადრე ამ ბოლო დროს, მეცნიერებასა და ლიტერატურასაც არ ივიწყებს. არ ივიწყებს-კი არა, პირ-იქით, ძალიან დიდს წარმატებასაც იჩენს. აი მოკლე მატიანე იმისი, რაც სამეცნიერო და სალიტერატურო საქმე გაკეთებულა ამ წლის დამდეგიდამ ისპანიაში: მენენდეს-ი-პელაიომ დაჰბეჭდა წელს ახალი სამეცნიერო თხზულება: „ისტორია საესტეტიკო აზრებისა". ამ თხზულებაში ავტორს დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, როგორ შევიდა წარმატებაში კრიტიკის საქმე ინგლისში მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში და საფრანგეთში კიდევ—ამ ჩვენს საუკუნეში. დაიბეჭდა წიგნი მსოფლიო ისტორიის პროფესორისა სევილიაში, გვარად სალეს-ი-ფერრესი „Tratado de sociologia. Evolution social y politica". ამ წიგნში მეცნიერი ავტორი ამტკიცებს, რომ პირველში დედაკაცი იყო უფალი და ბატონი მამაკაცისა, დედაკაცით მომდინარეობდა ნათესაობა და ყველა ქონებრივი ურთიერთობაც დედაკაცის ბატონობით იყო მოწყობილი. ისპანიაში ამ ბოლოს დროს შემოვიდა კარგი ჩვეულება ისპანიის თითოეულის თემისა და კუთხის გამოძიებისა და გამოკვლევისა. ეს ჩვეულება თანდათან ფეხს იდგამს და ფრიად სასარგებლო ნაყოფსაც მოაქვს. წელს დაიბეჭდა თხზულება რეღია-იფეროგასისა, სახელწოდებით: „ისტორია ამპურდანისა", რომელიც არის ერთი, საკმაოდ მოზრდილი, კუთხე კატალონიისა. ისპანიის მწერლობა და, მეტადრე გაზეთები, ძალიან აქებენ ამ თხზულებას: ყოველივე, რაიცა-კი შეეხება ზემოხსენებულს კუთხეს კატალონიისას, შიგ არის მოხსენებული, გამოძიებული და ანუსხული მუშტრის თვალით მკვლევარის ავტორისაგანაო. ყველაზე კარგად არის შიგ ნაამბობი ბატონ-ყმობის ამბავი იმ კუთხეში. წიგნი დაწერილია სწორედ იმ ხერხით, რა ხერხსაც თხოულობს ახალი საისტორიო ცოდნა-გამოკვლევაო. ამას დაუმატეთ ისიცა, რომ ეს თხზულება ფრიად მდიდრულადაც არის დაბეჭდილი: სურათებით, სასტატისტიკო ცხრილებით შესახებ ტანისა, თვალების ფერისა, ყმაწვილებისა და ახალ ჯარის-კაცთა თავის ქალას სიდიდე-სიპატარავისა. წიგნში ჩართულია კიდევ პორტრეტები, პეიზაჟები, ფულის სახე, მედალები, საშინაო ავეჯის მოყვანილობის მხატვრობა და ათასი კიდევ სხვა ამ გვარი ცნობა და მხატვრობა. ასევე მდიდრულად დაჰბეჭდა ელიას-დე-მოლინსმა „საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ლექსიკონი" მეცხრამეტე საუკუნის ყველა კატალონელ მწერლისა და შიგ ჩაურთო თითოეულის სურათი და მათი fac-simile. მარკიზმა ფიგეროამ გამოსცა თავისი გამოკვლევა ისპანიის ერთის კუთხის შესახებ და დაამტკიცა დღემდე ისტორიკოსებისაგან ზღაპრად მიჩნეული ამბავი იმის თაობაზედ, რომ ამ თემს ბეგრად ედო და ყოველ წლივ 100 ყმაწვილი ქალი უნდა ეგზავნა ისპანიის მავრებისათვის. კარდენასმა დაბეჭდა გრანადის ქალაქში „გრანადის მუზეო არაბულ ნაშთებისა". ვიდარტემ დაბეჭდა „ცხოვრება და მოღვაწეობა ვისენტე დე-ლოს-რიოსისა", რომელიც იყო სამხედრო მწერალი და რომელმაც უფრო იმით გაითქვა სახელი, რომ მშვენიერი ბიოგრაფია შეადგინა სერვანტესისა და ზედ-მიწევნით გაარკვია მისი თხზულებანი. ისპანიის აკადემიამ დაიწყო მდიდრულად ბეჭდვა ლოპე-დე ვეგის თხზულებათა 50 ტომად in folio. ამას წინად ამ აკადემიამ არ აირჩია თავის წევრად გამოჩენილი რომანისტი პერეს გალდოსი და ახლა უკვე შეინანია თავისი შეცდომა და შეირიცხა იგიც უკვდავთა შორის. ნიჭიერის რომანისტის ახალს რომანს დღე-დღეზე მოელის ისპანიის მკითხველი საზოგადოება. მეორე ნიჭიერმა რომანისტმა ქალმა, ემილია პარდო-ბასანმა, დაბეჭდა თავისი ახალი

შემძლოს, რომ ღირსი ვიყავ-მეთქი, რაც ბედმა მარგუნა. ოჰ, ჩემო კარგო, რომ იცოდე რა ცუდადა ვარ, როგორ მიკანკალებს და მიცახცახებს გული.

ვოლინც. ოლგა! ოლგა! ჩემო მტრედო.

ოლგა. თავი მომქონდა და ვიმაყობდი ჩემის ბედნიერებით. ვფიქრობდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავ-მეთქი. ასე მეგონა, რომ ხალხს ჩემის განსჯის უფლება არა ჰქონდა! მერე მე, მე რაღა უფლება მქონდა, რომ გიმსხვერპლეთ თავი? ის, რომ შენც მიყვარდი და შენი ქალიც? არა! სიყვარული თითონ, თავის თავად ბედნიერებაა და არა ბედნიერების უფლება. ჩემის თავისთვის ვზრუნავდი, როცა ვითომ-და თავს განაცვალებდით. დიაღ, ჩემთვის ვზრუნავდი, როცა სირცხვილსა და ხალხის განსჯას არ დავერიდე, და თან იმდენად კადნიერიც ვიყავ, რომ ვფიქრობდი: უფლება მაქვს ხალხის განსჯას ზიზღით ვუყურო-მეთქი. რომ იცოდე, რა ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში. ასე მგონია, დედამიწა გაირღვა და თან ჩამიტანა-მეთქი. მართალნი არიან ისინი, ვინც დაღუპულს დედაკაცს მეძახის, დაღუპული ვარ, დაღუპული.

ვოლინც. ამიხსენი, ოლგა, რა გემართება, რად იკვეთავ სასოს, არა მესმის-რა?

ოლგა. რაღა? კარგი, გეტყვი. შენ და იმას ანიკო გაკავშირებთ და მე-კი არაფერი.

ვოლინც. არაფერი?

ოლგა. არა, არაფერი. ხომ იცი, ტყუილი მეჯავრება... ანიკო რომ არ იყოს ჩვენ შუა... მერწმუნე, ასე ადვილად არ დავსთმობდი ჩემს ბედნიერებას. აბა მითხარ, მითხარ და არ იცრუო-კი, თუ პატიოსანი კაცი ხარ: ანიკოს დაანებებ?

ვოლინც. არა.

ოლგა. თითონ რომ მოინდომოს დედასთან ცხოვრება, როგორ დაუშლი?

ვოლინც. დავუშლი კიდეც და უფლებაცა მაქვს, რადგან გულ-უბრყვილო ქალს იმ უფსკრულში ვერ ჩავაგდებ, რომელშიაც იმისი დედაა.

ოლგა. მერე ანიკოს დაუსახელებ მაგ მიზეზს და თვალებს აუხელ, რომ ყველაფერი გაიგოს და ნათლად დაინახოს? (ხელს დაუჭერს და თვალს გაუშტერებს) არა, ამას ვერ იზამ. ყმაწვილებს დედის სირცხვილს არ აგებინებენ.

ვოლინც. და არც საჭიროა. არ დავიჯერებ, რომ დედა ჩემზედ უფრო ძვირფასი იყოს ანიკოსთვის, ის დედა, რომელსაც კარგად ვერც-კი იცნობს.

ოლგა. ვინიცობაა აგრე რომ არ მოხდეს... გაიგე, სერგეი, რომ შენი ქალი არჩევანში უნდა იყოს, გესმის, არჩევანში. საშინელებაა. ჩემსავით კარგად უნდა იცნობდე ანიკოს მოსიყვარულე გულსა და მართალს ხასიათს და მაშინ დააფასებ, თუ რა დღეში ჩააგდებს შენს ქალს ეს არჩევანი. აი, სადამდე მომიყვანა ჩემმა ცოდვამ, ჩემმა თავ-მოყვარეობით სავსე ბედნიერებამ! ვიდრე იმისი დედა შორს იყო ჩვენგან, მანამდე ის სულელური აზრი მანუგეშებდა, რომ ჩემთვის სასწაული მოხდება და შესუსტდება, მოეშვება-მეთქი ქალსა და დედას შორის გაბმული ძაფი... და ვიპარავდი კიდეც იმის ბედნიერებას... მაგრამ ეხლა-კი... ეხლა ის აქ არის, თავისასა თხოულობს და უფლებაცა აქვს, ბუნებრივი უფლება, კანონიერი და აგრეთვე ის, რომ შვილები არ არიან მსაჯულნი თავისის მშობლებისა... ის მაძევებს აქედგან, ის არ მაყენებს... კარგი, ვსთქვათ: შეიძლი და გაისტუმრე შენი ცოლი აქედგან, ვსთქვათ, რომ განთავისუფლდი კიდეც და ჩემზედ ჯვარიც დაიწერე. როგორ დამიწყებს მერე ყურებას ანიკო? რას იტყვის? იმას იტყვის, რომ ამ დედაკაცმა დედაჩემს წაართვა ალაგი, განგებ მიელიდა, განგებ მანებიერებდა და ვუყვარდი, რომ დედა დაევიწყებინებინაო... შემიძულებს, თვალიდგან ამომიღებს, შენი პატივისცემა აღარ ექნება... და მერე მე უნდა გავხდე ამდენის უბედურების მიზეზი და საბაბი? არასოდეს... არასოდეს...

ვოლინც. მაშ რა უნდა ვქნათ, არ მესმის?!

ოლგა. (დიდის გაჭირებით ამბობს) გავშორდეთ ერთმანეთს... დეე შენი ცოლი შემოვიდეს ამ სახლში, თავისი ადგილი დაიჭიროს. შეუნდე, დაივიწყე გამოვლილი მწუხარება, შენი კერძო ბედნიერება ანაცვალე. შენ შეიძლებ შენს ქალს აცილო დედის გავლენა, გაუფრთხილდე: ანიკოს გულში სიმართლის გრძნობა ულევის, ჰკვიანი და პატიოსანი ქალია...

ვოლინც. (საშინლად აღელვებული) მერე შენ?

ოლგა. მე? მე სიკვდილამდე მეყვარები და არ დაგივიწყებ. გამიგონე, სერგეი: მე ძალიან ბედნიერი ვიყავ და დიდხანსაცა ვსტკბებოდი ამ ბედნიერებით... დროა დავიმსახურო კიდეც იგი.

ვოლინც. (მძიმედ ამოისუნთქავს) თუ შენ შეგიძლიან თავი სხვას ანაცვალო, მე... მე არ შემიძლიან. ჩემის აზრით, იმას არავითარი უფლება არა აქვს, არც როგორც დედას და არც როგორც ცოლს, და სინიდისიც არ მაწუხებს, ამას რომ ვამბობ. მე მოვალე ვარ უზრუნველ ვყო შენი ბედნიერება, მთელი შენი სიცოცხლე, გიმსხვერპლე და უნდა დაგიფარო, მწედ გექმნე, და დაგიფარავ კიდეც.

ოლგა. (წამოდგება და პირს არიდებს) არა, მე ბრძოლის წინააღმდეგი ვარ, ვერ ავიტან. ნება მომეცი ეხლა წავიდე, ეხლა, როცა წასვლა შემიძლიან, ნურაფერს დააყვედრებ თავს... დარწმუნებული იყავ, რომ ანიკოს სიყვარული მიმდევს თან. შემდეგ, როცა ისიც დედაკაცი შეიქნება, მაშინ გაიგებს, დამაფასებს და გამამართლებს. გაიგე, სერგეი, რომ ჩემთვის ძალიან საჭიროა ეს გამართლება, რადგან მე თითონ ვერ ვამართლებ ჩემს თავს... შენის ქალის ერთს წუთს დანაღვლიანება მომკლავს, მომიდნობს, იმიტომ-რომ არავისა აქვს უფლება ახლად გაღვიძებული, ნორჩი სიცოცხლე სტანჯოს, აწამოს, და იმის ტანჯვა-წამებით თავი გაიბედნიეროს.

ვოლინც. (მეტად აღელვებული) მართალი ხარ, ოლგა. გეთანხმები... გავშორდეთ ერთმანეთს, თუ ისევე გულწრფელად მიპასუხებ, როგორც მე გიპასუხე, რომ ამ განშორებით, ბედნიერად თუ არა, მოსვენებით მაინც იქნები, გულ-დინჯად. (ოლგა შეკრთება, თავს იღებს და ცრემლს იკავებს, შემდეგ ისევე დახრის, ვერა უთქვამს-რა) წადი, არ დაგიშლი, ოღონდ ის-კი მითხარი, რომ... ისე აღარ მიყვარხარ, როგორც წინად მიყვარდი-თქო.

ოლგა. (გაფითრდება და ერთიან შეიცვლება) მე... მე აღარ მიყვარხარ?! (გრძნობით ატაცებული გადაეხვევა და თავს გულზედ დაადებს) ჩემო სიცოცხლევ... ჩემო ბედნიერებავ!.. (ერთად, მძიმედ ქვითინებს და შემდეგ მოეცდება) იცოდე, რომ ყოველ გვარს ტანჯვას ავიტან... გადასწყვიტე... მე არ შემიძლიან... ღონე არა მაქვს... (სასწრაფოდ გადის. ვოლინცევი სტოლთანვე ჩაიკეცავს, აღელვებული მკერდზედ ხელს მოივლებს, შემდეგ აიხედავს მაღლა და დიდის გაჭირებით სულს მოითქვამს. სიჩუმე. ანნა შემოდის)

ია-ანა.

(შემდეგი იქნება)

რომანი in so lation. ეს რომანი დიდის მოხერხებითა და ცხოვრების ცოდნით არის დაწერილი. ავტორი საკვირველად ახერხებს ისეთს ადგილებს, სადაც სხვას ძრიელ გაუჭირდებოდა. თიბათვეში გამოვიდა ამავე ქალის ახალი რომანი „შორი“, ანუ ქამი. თებერვალში მანვე დაბეჭდა დიდი წიგნი „ჩემ სამშობლოდამ“. ამ წიგნში მოთავსებულია ყოველი მისი ნაწერი შესახებ მის სამშობლო სოფლისა და ქვეყნისა.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი თხზულება იყო წელს რომანი დიდად სახელგანთქმულის მწერლისა, პერედასი. ამ რომანშია აწერილი ისპანიის სოფელი და მათი ცხოვრება. რომანის ენაში ძლიერია სათემო კილო და ლაპარაკი. ავტორს ეტყობა დიდი ცოდნა თავის სამშობლო კუთხისა. მეორე ამ გვარი სათემო ხასიათის რომანი დაიბეჭდა ახალგაზრდა ნიჭიერის მწერლისა ბოსკედე-ლა-ტრინშერიასი.

წელს მოაკლდა ისპანიის მწერლობას ერთი უხუცესი პოეტი და რომანისტი, ანტონიო ტრუება. ტრუება დაიბადა 1821 წელს და იყო ღარიბის გლეხკაცის შვილი. პატარა ანტონიო დედმამამ მადრიდში გაგზავნა ბიძასთან, რომელსაც სარიდინგრო ჰქონდა. ბავშვმაც ისწავლა ეს ხელობა და თავისუფალს დროს გულ-მოდგინედ კითხულობდა ისპანიის ძველთ მწერალთა ნაწერებს. დღეს-ხვალ და 1845 წელს თავადაც დაბეჭდა პატარა წიგნად თავისი ლექსები, რომელიც ძრიელ მოეწონა საზოგადოებას. ამით წაქეზებულმა ტრუებამ დაანება სარიდინგროს თავი და დაიწყო მუშაობა რედაქციებში, ხან ერთში, ხან მეორეში და ხან მესამეში. ერთის სიტყვით, ლიტერატურის მაწანწალა შეიქმნა. მერე სამს წელიწადს მადრიდის საქალაქო საბჭოში მსახურობდა და თან თავის პირველს მოთხრობებსა სწერდა. 30 წლამდე იგივე ლიტერატურის მაწანწალა იყო. შემდეგ-კი დაბეჭდა თავისი ლექსები და მიიქცია ყურადღება მთავრობისაც და საზოგადოებისაც, მაგრამ ამ გარემოებამ ლუკმა პური ვერ მისცა. ტრუება იძულებული იყო გაზეთში ემუშავნა. დღეში აძლევდნენ იქ სამ აბაზს. 1853—1860 წლამდე დაიბეჭდა იმისი საუკეთესო მოთხრობანი. მათ შორის „სკვილიის ამბები“ ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ ერთს წელიწადს 6,000 წიგნი გაიყიდა. ტრუებამ შეიძინა ქონებაცა და სახელიც, მაგრამ ამ სახელმა თავ-გზა არ დაუბნია. ტრუებამ მალე მოსძებნა თავისი სამშობლო სოფელი, დაბინავდა იქ და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. აქაც ტრუებას კალამი ხელიდამ არ დაუგდია, მუდამ და უოკველთვის განუყრელად ხელში ეჭირა. ტრუებას დიდ ჯილდოდ ის მიაჩნდა, რომ სამშობლო კუთხემ უწოდა თავისი მამა და მფარველი. მოხუცებაში ძრიელ გულს დასჩნდა აგრეთვე საჩუქარი თავისის თანამემამულეთაგან, არგენტინის რესპუბლიკაში გადასახლებულთაგან. იმათ შეგროვებინათ საკმაო ფული და ამ ფულით ტრუებას სახლი უყიდეს თავისს სოფელში.

წელს იანვრიდამ გამოდის მადრიდში ახალი საუკეთესო ჟურნალი, პარიჟის გათქმულ „რევიუ დე დე მონდ“-ის მსგავსი. ამ ჟურნალში ყველაზე მეტსა სწერს ზემოდ მოხსენებული მწერალი ქალი პარდო-ბასანი. ამას აბარია კრიტიკის განყოფილება. სწერს აგრეთვე სხვა-და-სხვა საყურადღებო წერილებსაც. ამას გარდა ეს ქალი სწერს ფრანგულსა და სამხრეთ-ამერიკის ჟურნალ-გაზეთებშიაც. ახლა-ხან კიდევ ინგლისურს ჟურნალში დაჰბეჭდა წერილი „ისპანიის დედაკაცების შესახებ“. ამ წერილმა მთელის ევროპის ყურადღება მიიქცია. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ქალს ისპანიის ლიტერატურის წინაშე. ნიჭიც შესამჩნევი მიუცია მისთვის ღმერთს. ყოველ ამის გამო ადვილად შესაძლებელია, რომ პარდო-ბასანი აკადემიამ თავის წევრადაც აირჩიოს. თითონაც გულში აქვს ეს და ხშირად ახსენებს ხოლმე ერთს ისპანელს სწავლულს ქალს, დონნა ისიდორა დეგუსმანს, რომელიც აკადემიაში იქმნა წევრად არჩეული 1784 წელს.

◆◆

დეპეშა

10 სექტემბერი

ვენა. აქ ჩამოვიდა დეპუტაცია რუსის მე-14 დრაგუნის პოლკისა პოლკოვნიკ კრიდნერის მეთაურობით. დეპუტაციამ უნდა მიულოცოს ერცჰერცოგს ალბერტოს ორმოცის წლის შესრულება მას შემდეგ, რაც ალბერტი ამ პოლკის შეფად ითვლება.

„Wiener Tageblatt“-ი იუწყება, რომ მილანმა ნება-რთვა აილო, როცა საჭირო იქნება, რეგენტობა იკისროს. ამის შესახებ თათბირიც ჰქონიათ. ამასთანავე გაზეთი იუწყება, ვითომ ბელგრადის მართებლობა მილანის რეგენტობას არ შეიწყნარებსო.

სარწმუნოებათა მინისტრმა გრუიჩმა ბრძანება გასცა, რომ სლავიანთა სასოფლო სკოლებიდგან განაძევონ ხატი წმ. კირილესი და მეთოდესი.

პარიჟი, 10 სექტემბერს. სრული მშვიდობიანობა სუფევს აქა. ამომრჩეველნი მრავლად იკრიბებიან. ჩვეულებრივი ღონისძიებანი სიფრთხილისათვის მიღებულია; მაგრამ ქუჩებში არავითარი შეთოფ-იარაღებული წესის დამცველნი არ არიან დაყენებულნი; არავითარის უწესოების მოლოდინი არა აქვთ. თუ ელიან უწესოებას, ისევ მონმარტრში, მაგრამ იქაც მხოლოდ მაშინ, თუ ბიურო უარს იტყვის და არ გამოაცხადებს იმ ბიულეტენებს, რომელზედაც ბულანჟეს სახელი იქნება დაწერილი.

პარიჟი, 11 სექტემბერს მონმარტრში ბულანჟემ მიიღო 5880 ხმა. პარიჟში არჩეულ იქმნენ საბოლოოდ მხოლოდ: ბულანჟე, ლაგერი, ფარსი და ბრისსონი. პარიჟის ყველა სხვა საარჩევანო უბნებში ხელ-მეორედ უნდა იყაროს კენჭი. არჩეულ იქმნენ საბოლოოდ 158 რესპუბლიკელი და 89 მოწინაალმდეგე, ხოლო 145 უბანში ხელ მეორედ არის კენჭი ჩამოსატარებელი. ვოგეზების დეპარტამენტში რევიზიონისტმა პოკომ გაიმარჯვა და დაამარცხა ჟიულ-ფერრი.

პეტერბურგის ბირჟა, 7 სექტემბერი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 65
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	152¼
მანათიანი ვერცხლის ფული . . .	— „	1 12	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	261
—მეორისა	238¼	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	97 „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	98 „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	83¾	— „	— „

ვაჭ. სადგმი [illegible]

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3½ „
„ 2 „	3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2 —	4 „
„ „ 3 „	3½ „
ჭვავის მამის პურის ლავაში	„
1-ლის ხარისხისა . .	5 „
მე-2 ხარისხისა . .	4 „
მე-3 — . . .	„
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
„ 2 „	7 „
სუკი	14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 „
ღორის ხორცი . . .	„ „
„ 2 „	„ „

განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ.	„ 50
ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან	„ 55

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა»	„	10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი	1	
საყმაწვილო ამბები	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა	„	25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . .	„	40
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა	„	50
მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა.	„	25
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა .	„	40
დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ .	„	15
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . .	3	„
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . .	,,	50
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . .	„	10

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—9)

№4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული

ო-დე-კოლონი,

სურნელოვანი წყლები,

სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,

გლიცერინის საპონი,

კანის დასარბილებელი საშუალებანი,

კბილის ტკივილის წამალნი,

პუდრა,

თმის ზეთი, პომადა,

ტუალეტის წყალი

და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო №4711. მარკისა,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. ბალცერეიტთან. (10—9)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—41)

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც **ოც-და ათს ცალსა**,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Доз. ценз. Тифлисъ 11-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე